ქვეპროგრამის დასახელება: <u>მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა</u>

რა არის ქვეპროგრამის არსი?

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქ. თბილისში მცხოვრებ მარტოხელა ხანდაზმულთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, დღის ცენტრის კომუნალური გადასახადების დაფინანსებას.

ვინ არიან ქვეპროგრამის ბენეფიციარები?

ქ. თბილისში, ძირითადად კი, ისანი-სამგორის რაიონების ტერიტორიაზე მცხოვრები ხანდაზმულები.

რას მოიცავს ქვეპროგრამა?

- დღის განმავლობაში სხვადასხვა საგანმანათლებლო, გასართობ პროგრამებში მონაწილეობის უზრუნველყოფას;
- ჰიგიენური პროცედურების ჩატარებას;
- სხვადასხვა ჯგუფების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში ჩართვას, როგორიცაა: ქსოვის, კერვის, ქარგვის, ცეკვის, სიმღერის, თიხაზე მუშაობის, ლიტერატურისა და ა.შ.;
- სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებზე დასწრებას;
- ექსკურსიებს.

როგორ უნდა მიიღოს პირმა მომსახურება ?

მომსახურების მიღება დღის ცენტრისთვის განცხადებით მიმართვის საფუძველზე ხდება. მის: ვარკეთილი „3“ მე-2 მ/რ, 180-ე ბაგა-ბაღი.